პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ივლისი სამშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 156 (14456)

ХУТМЕТЕРЕДИ ВАДАМДЕ

პურეულის ხვავი

ჯახეთს სამართლიანად უწოდებენ ჩვენი რესპუბლიკის პურეულის ბელელს. იგი განთქმულია ბალ-ვენახებითა და თავთავიანი კულტურების ვრცელი მინდვრებით. შირაქში, ალაზანსა თუ იორზე ხვავიანი ალოთობაა. გუგუნებენ კომბაინები, კალოზე ხვავდება ოქროსფერი მარცვალი.

წარმატებით მიმდინარეობს მკა თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში". აქ ხორბლის ნათესებს 400 ჰექტარი უჭირავს. აკურელი მხვნელ-მთესველები პურეულს შემქედრობულ ვადებში უდანაკარგოდ იღებენ. მათი ვალდებულებაა სამშობლოს მისცენ 6 ათასი ცენტნერი მარცვალი. ბრიგადის გასანაღდებლად მექანიზატორები, მემინდვრეები თავდადებულად შრომობენ. სურათებზე: კოლმეურნეობის კალოზე (ზემოთ); მოწინავე კომბაინერი მიხეილ პურღულაშვილი, რომელიც დღეურ დავალებებს ერთიორად ასრულებს.

ფოტო ი. დავითაშვილისა და ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

პროფკავშირები და რეფორმა

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ სამეურნეო საქმე ჩვენი საერთო საქმე და ჩვენთვის ყველაზე საინტერესო პოლიტიკაა. სწორედ ამ ყველაზე საინტერესო პოლიტიკის განხორციელებისაკენ არის მიმართული საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის მთავარი ყურადღება.

ახლა, როცა უკან დარჩა ექსპერიმენტების პერიოდი, აღარავის აღარ ეპარება ეჭვი იმაში, რომ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა, მრეწველობის მართვის ტერიტორიული პრინციპის დარგობრივით შეცვლა უფრო სრულად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ახალი რეფორმა ქმედითია იქ, სადაც მისი პრინციპები თვითეულ საამქროსა და უბნამდე, ყოველ მუშამდე დადის. მსჯელობენ მათ პირადი პასუხისმგებლობის შეგნებით ყველაფრისათვის, რაც კი ხაწარმოში ხდება.

ახალი ეკონომიური რეფორმის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს მაგალითი თბილისის ჩაის გადასაწონი ფაბრიკისა, სადაც წარმოების დიდ ეკონომიურ ეფექტიანობას მიაღწიეს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ხაწარმოს პროდუქცია ნატურალური გამოსახულებით 14,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 7,8 პროცენტით ამაღლდა. აქვე მნიშვნელოვნად იმატა პროდუქციის რეალიზაციამ, მოგებამ კი მილიონ ოთხასერთი ათასი მანეთი შეადგინა. ამან ხაშუალება მისცა ფაბრიკის ადმინისტრაციას 2,2-ჯერ გაეზარდა მატერიალური წახალისების ფონდები.

ამ წარმატებებში დიდია ფაბრიკის პროფკავშირული ორგანიზაციის როლი, საფაბრიკო კომიტეტი ცხოვრების შუაგულშია, იგი ყურადღებას ამახვილებს ახალი სამეურნეო რეფორმის პრაქტიკულად განხორციელებაზე, რეზერვების ყოველმხრივ გამოყენებაზე, შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე. მშრომელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურული მუშაობის ამაღლებაზე. საფაბრიკო კომიტეტის სხდომებზე, ხაწარმოს ადმინისტრაციისა და პარტიული ბიუროს აქტიური მონაწილეობით კვალიფიციურად, ავტორიტეტულად განიხილავენ წარმოებისა და ყოფის საკვანძო საკითხებს. საფაბრიკო კომიტეტი იბრძვის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობისათვის. ფაბრიკაში დამკვიდრდა საპეიოლის — დირექციის, პარტბიუროსა და საფაბრიკო კომიტეტის საქმიანი დამოკიდებულება. ხაწარმოს ხელმძღვანელი მუშაკები ყოველმხრივ ეხმარებიან საფაბრიკო კომიტეტის წევრებს, ეთათბირებიან და მხარს უჭერენ მათს წამოწყებებს.

ვინ მოთვლის, ჩვენში კიდევ რამდენმა პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციამ და სამეურნეო ხელმძღვანელმა ისწავლა ახალ პირობებში ეფექტურად მოქმედება. ხუთწლედის ვადამდე შესრულებაში წარმატებებს აღწევენ თბილისის საავიაციო, პლასტმასის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკა, შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტი", ქვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველო და სხვ. და ეს იმიტომ, რომ ამ ხაწარმოთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები კონკრეტულად, ხაქმიანად წარმართავენ კოლეტივების შრომითს მეცადინეობას. ისინი წარმატებით იყენებენ წარმოების მართვაში მშრომელთა მეზიდვის მრავალფეროვან ფორმებს, ამაღლებენ ბუღმივმოქმედი ხაწარმოო თათბირების, კოლეტიური ხელშეკრულებების, მუშათა კრებების მნიშვნელობას, განამტკიცებენ მასებთან კავშირს.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალის დამდეგისათვის ჩვენს რესპუბლიკაში დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი იყო სმშ ხაწარმო. მათი უმრავლესობის ახლებურად მუშაობის პირველი შედეგები სასიხარულოა, მაგრამ თვალს ვერ ავარიდებთ ზოგიერთ ნაკლსა და სიძნელესაც. მთელ რიგ ხაწარმოებში ეკონომიკის განვითარების ტემპი ჯერ კიდევ დაბალია იმის გამო, რომ მათი ხელმძღვანელები, აგრეთვე შესაბამისი უწყებები და სამინისტროები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ბოლომდე არ არიან დაინტერესებული ახალი რეფორმის პრინციპებით, ყველა რეზერვის გამოყენებით. ამის გამო თბილისის ციროვის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხანა, ყორის ბამბეულის კომბინატს, ზესტაფონის ქარხანა „საქაბელს", გელათის სატრანსფორმატორო ქარხანას და ზოგიერთ სხვა ხაწარმოს უჭირთ არა მარტო ვალდებულებების, არამედ საგეგმო დავალებათა შესრულებაც.

ჩამორჩება მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაწარმოთა მეოთხედი. ორსებითი ნაკლოვანებანია მთელი რიგი სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის ხაწარმოთა მუშაობაში. ასეთ მდგომარეობას არამცდაარამც არ შეიძლება შევუერიგდეთ. ამოცანა ის არის, რომ წლის მეორე ნახევარში ყველგან დაკვეთრეთ არა მარტო დავალიანება, არამედ ახალი ნაბიჯიც გადავდგათ წინ ეკონომიკის განვითარების გზაზე.

პროფკავშირთა წინაშე დასახული დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია მათი ორგანიზატორული მოღვაწეობის დონეზე, მასებთან კავშირის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებაზე.

პროფკავშირების ორგანიზატორულ მუშაობაზე დადებითი გავლენა ჰქონდა და აქვს პარტიის XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს. მაგრამ ამასთან ერთად პროფკავშირთა ორგანიზატორული მუშაობის დონე ყველგან როდი უპასუხებს დროის გაზრდილ მოთხოვნებს. ზოგიერთი დარგობრივი პროფკავშირი ჯერ კიდევ სუსტად წყვეტს მის წინაშე მდგომ ამოცანებს, ნელა აწესრიგებს კავშირს სამინისტროებთან, უწყებებთან. ადგილობრივ პროფორგანოებთან, საკმაო ინიციატივას ვერ იჩენს წარმოების, ადამიანთა შრომის, ყოფის, დასვენების საკითხების დაყენებასა და გადაწყვეტაში.

პროფკავშირული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საწინდარია ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა. პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან ღრმად ჩახედულნი პროფკავშირული მუშაობის შინაარსს. მხედველობიდან არ გამორჩეთ მათი მრავალფეროვანი მოღვაწეობის არც ერთი უბანი, ყოველმხრივ წაახალისონ და განავითარონ მათი თვითმოქმედება, ინიციატივა, ახალ პირობებში შეძენილი ძვირფასი გამოცდილება.

მრეწველობის ახლებურად მართვა ვერ ითმენს წვრილმან რეგლამენტაციასა და მეურვეობას. პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ პროფკავშირული კომიტეტებისა და სამეურნეო ხელმძღვანელების ურთიერთობა ყველგან შენდებოდეს საქმიან საფუძველზე, სულ უფრო ვითარდებოდეს მათი თანამშრომლობა ხალხთა ამოცანების გადაწყვეტაში. საჭიროა ფართოდ მოვიზიდოთ პროფკავშირული კადრები და აქტივი საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

მძლავრად მიაბიჯებს ხუთწლედის მეოთხე წელი. ყოველ დღეს მოაქვს შესანიშნავი მიღწევები სახალხო მეურნეობის მშრომელებისა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. ყველა დარგში ნაკისრია სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც ითვალისწინებენ ხუთწლიანი გეგმის 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, ხოლო შრომის ნაყოფიერების ამაღლების დავალების 1970 წლის 22 აპრილისათვის შესრულებას. წარმატება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ღრმად, ეკონომიურად დასაბუთებულად იმოქმედებენ სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, რამდენად თანმიმდევრულად განახორციელებენ ისინი მართვის ლენინურ პრინციპებს.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲬᲐᲮᲜᲐᲖᲔ 100%

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ, ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲐᲗᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად შრომობს ლენინის ორდენოსანი მარგანტრესის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ათი დღით ადრე შეასრულა მარგანეცის ამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების ნახევარი წლის გეგმა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები. აღსანიშნავია, რომ მაღაროს კოლექტივი დიდი გადაჭარბებით ასრულებს შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის, მოგების დავალებებს. ორჯონიკიძელებმა მარტო ხუთწლედის მეოთხე წელს თვითღირებულების შემცირებით 70 ათას მანეთზე მეტი დაზოგეს. მაღაროელები ავლენ განაგრძობენ ლაშქრობას მომპირნეობისათვის, რათა დაზოგილი მასალებით იმუშაონ 1970 წლის 21 და 22 აპრილს.

ლენინურ შრომითს ვახტზე წინ მიდიან საწარმო უბნების კოლექტივები, რომლებსაც ვ. ჩხეიძე, ა. კინტოშვილი, ტ. ფიროძე უძღვებიან, და პირველობების გამმდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის გ. გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით.

ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

რუსთავი. (საკ. კორ.). სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს მანქანების შემკეთებელი ქარხანა. ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის სახელმწიფო დავალება. საამქროთა შორის შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა კოლექტივი, რომელსაც რ. ბაშელიძეული ხელმძღვანელობს. აქ ივნისში ვადამდე შეასრულეს მშენებლობის სამინისტროს ტრუსტ „საქმშენდუსტრიის" დაკვეთა, დაამზადეს 30 ტონა ლითონის კონსტრუქციები.

შრომაში დაფინაურდნენ ზეინკლები უ. კანიძე, ვ. ვოლჩიკი, მ. პაპუაშვილი, ელექტრომემდუღებელი ი. ოსანჩენკო, აირმჭრელი ჯ. ანდრეევა და სხვები.

წლის ბოლოს გაგანაღდოთ ვ. ი. ლენინის საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებანი — ასეთია მანქანათმშენებელთა შრომის დევიზი.

ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს „ქუთაისარტის" მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი, რომელმაც ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ნახევარი წლის დავალება.

მაღაროელებმა გადამეტებით შეასრულეს მადნის ამოღების, გამდიდრების, დაფქვისა და ფლოტაციის გეგმა, ამასთან მნიშვნელოვნად აამაღლეს მადნის ხარისხი. ბარიტის შემცველობა მადანში 85 პროცენტის ნაცვლად 86-87 პროცენტამდე აიყვანეს.

წლის პირველ ნახევარში მაღაროთა სამმართველო ზარალით მუშაობაზე იყო დაგეგმილი. მაგრამ განვლილ პერიოდში ფაქტიურად აქ 17 ათასი მანეთი მოგება მიიღეს.

განსაკუთრებით ისახელეს თავი ბარიტის საფლოტაციო ქარხნის, ჟონეთ-კირეოვისა და ღვედის მაღაროების კოლექტივებმა, რომლებსაც გ. კოკინაძე, ა. ბოდოკია და ს. კეთილაძე ხელმძღვანელობენ.

△ ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ ᲛᲐ

შეაბრეშუმეებმა შესანიშნავი სტარტი აიღეს. მათ გეგმით უნდა დაამზადონ 170 ტონა აბრეშუმის პარკი. დამზადებულია 183 ტონა. შეჯიბრებაში დაწინაურდა ბაისუბნის აბრეშუმის პარკის მიმღები პუნქტი. აქ გეგმით უნდა დაემზადებინათ 31,3 ტონა პარკი, ფაქტიურად დამზადდა 35,3 ტონა.

განსაკუთრებით წარმატებებს მიაღწიეს ბაისუბნის კოლმეურნეებმა, რომლებმაც დაამზადეს 15,8 ტონა პარკი ნაცვლად 12,7 ტონისა. აბრეშუმის პარკის ჩაბარებაზე უკვე გაანაღდეს აფენის, ჯაბუკანის, კაბლის, განჯალა-უზუნთალის კოლმეურნეობებმა.

წარმატებები მოიპოვეს ცალკეულმა შეაბრეშუმეებმა. ჰაბუკანელმა მარიამ გაბიტაშვილმა 12 გრამი მურადან მიიღო 93 კილოგრამი პარკი, ხოლო აფენელმა მზია ღვალაძემ დამზადების ბუნკტს ჩაბარა 110 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

რაიონში აბრეშუმის პარკის დამზადება წარმატებით გრძელდება. ლაგოდეხელთა ვალდებულება წელს სამშობლოს მისცეს 190 ტონა მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი.

ბ. კიკილაშვილი.

ᲙᲒᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲙᲐᲠᲙᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲭᲘᲜᲔᲑᲘᲗ

△ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ შეაბრეშუმეობის საჯიშე სასელექციო სადგურმა 109,3 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 3.280 კილოგრამი მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 კილოგრამისა. პარკის დამზადება გრძელდება. ეს „ძიმშენსტის" რედაქციას აცნობა წულუკიძის შეაბრეშუმეობის საჯიშე სასელექციო სადგურის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა აგრონომმა შ. შელია.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ VI ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად მივესალმები მოსკოვის VI საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს.

მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალები გახდა ტრადიციული დათვალიერება პროგრესული კინოხელოვნებისა, რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაზე.

საგულისხმოა, რომ მოსკოვის VI კინოფესტივალი იმართება დიადი თარიღის — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელისა და ხელმძღვანელის ვლადიმერ ილიასძე ლენინის დაბადების მეასე წლისთავის წინ, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მოხმარდა ყველა ქვეყნის მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს კინოხელოვნების იმ ნაწარმოებებს, რომლებიც გამოირჩევიან სინამდვილის ასახვის სიღრმითა და სამართლიანთ, ცხოველმყოფელი იდეების ძალით, მხატვრული სრულყოფით.

ჩვენს დღეებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ისეთი დიდი ხელოვნება, როგორიც არის კინემატოგრაფი, ემსახურებოდეს საზოგადოებრივ პროგრესს, ადამიანთა გაერთიანებას ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში. სწორედ ამ კეთილშობილურ მიზნებს შეესაბამება ფესტივალის დევიზი „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის!"

გილოცავთ კინოხელოვნების მიღწევათა ახალი საერთაშორისო დათვალიერების დაწყებას ჩვენი სამშობლოს დიდაქალაქ მოსკოვში და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ მის მონაწილეებსა და სტუმრებს.

ა. კოსიგინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

□ □

ᲞᲝᲠᲓᲔᲜᲘ „ᲐᲡᲙᲐᲜᲘᲐ-ᲜᲝᲕᲐᲡ" ᲓᲠᲝᲨᲐᲖᲔ

ᲐᲡᲙᲐᲜᲘᲐ-ᲜᲝᲕᲐ (ციხისონის ოლქი), 5 ივლისი. (საკდესის კორ.). დღეს ზეიმი აქვს საქვეყნოდ ცნობილი უკრაინის მ. ფ. ივანოვის სახელობის ვილის რაიონების მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „ასკანია-ნოვას" კოლექტივს. გიმმართა საზეიმო კრება, რომელზეც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ე. შელესტმა ინსტიტუტის დროშას მიაბნია შრომის წითელი დროშის ორდენი. ეს სამეცნიერო დაწესებულება დაჯილდოებულია ბიოლოგიური და სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებაში, პირუტყვის ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების შექმნაში დამსახურებისათვის.

თავის სიტყვაში პ. ე. შელესტმა მაღალი შეფასება მისცა ინსტიტუტის მეცნიერების, სპეციალისტებისა და მუშების საქმიანობას. მან გულითადად მიულოცა ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს საპატიო ჯილდო და უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებანი შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲬᲧᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ მოსკოვში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წყალსამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა თათბირის მეოთხმეტე (რიგგარეშე) სხდომა, მან უნდა განიხილოს წყალთა მეურნეობის დარგის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXIII (სპეციალური) სესიის გადაწყვეტილებებიდან. თათბირში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები.

თათბირზე ძირითადი ყურადღება ეთმობა წყალთა მეურნეობის დარგში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის კომპლექსური პროგრამის ძირითად მიმართულებებს, რომელიც გათვალისწინებულია ხანგრძლივი პერსპექტივისათვის, დახლოებით 1980 წლამდე. (საკდესი).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲗᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ, 7 ივლისი. (საკდესყაზდესის კორ.). დღეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოძმე რესპუბლიკების ახალგაზრდა პოეტთა III სრულიად საკავშირო ფესტივალის დასკვნითი დღეა.

რვა დღეს გრძელდებოდა ტრადიციული საუბარი შემოქმედებაზე, ახალგაზრდა პოეტების წინაშე ცხოვრების მიერ დასახული ამოცანებზე, მიმდინარეობდა გულთბილ შეხვედრები მკითხველებთან.

ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული პოეზიის დღესასწაული. მოკავშირე რესპუბლიკების ახალგაზრდა პოეტებმა ასახეს თავიანთი ხალხების პოეზიის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები, ეროვნული კოლორიტი. სიერთო, რაც პოეტებს აერთიანებს, — ეს არის თანამედროვეობის პათოსი, პატრიოტიზმი.

ფესტივალის მონაწილენი შეხვდნენ ალმა-ატის ახალგაზრდობას, მოაწყვეს ლიტერატურული საღამოები „ძმობის პოეზია" მუშათა და სასოფლო კლუბებში, პიონერთა ბანაკებსა და სასაზღვრო საგუშაგოებში. დღეს ახალგაზრდა პოეზიის ხმა აჟღერდა ყაზახეთის მ. აუეზოვის სახელობის დრამატულ თეატრში მოძმე რესპუბლიკათა პოეტების III სრულიად საკავშირო ფესტივალის დასკვნით საღამოზე.

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, (საკდესი). ბულგარეთში დაიწყო ხალქო პარტიულ ორგანიზაციათა აქტივის კრებები, რომლებიც ეძღვნება კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირისა და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებს. გამოსვლებში ხაზს უსვამენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დიდ ისტორიულ მნიშვნელობას. თათბირი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, ნაოქვამია აქტივის გადაწყვეტილებებში. მოძმე პარტიებს შორის აზრთა და გამოცდილების გაზიარება ახალი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის, რევოლუციური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის განვითარებაში.

პარტიული აქტივის კრებები ერთსულოვნად იწონებენ ბულგარეთის კომპარტიის დელეგაციის საქმიანობას მოსკოვის თათბირზე.

□ □

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲯᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. (საკდესი). ვიეტნამის ომი ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუჯდება ასტრონომიული თანხა — 400 მილიარდამდე დოლარი — ასეთი დასკვნა გამოაქვს სამხედრო-ეკონომიურ საკითხთა თვალსაჩინო ამერიკელ სპეციალისტს იუტის უნივერსიტეტის პროფესორს ჯეიმს კლეიტონს მასალებში, რომლებიც მან მოამზადა წიგნისათვის, „ცივი ომის ეკონომიური შედეგები". ეს წიგნი მალე დაიბეჭდება.

იმ შემთხვევაშიც კი, წერს კლეიტონი, თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტა ომი ვიეტნამში, ეს ომი ამერიკის ბიუჯეტს 330 მილიარდ დოლარად მაინც დაუჯდება. ოფიციალური მონაცემებით, ვიეტნამის ომი ამერიკის მეერთებული შტატებს უკვე დაუჯდა 110 მილიარდ დოლარად. კიდევ 50 მილიარდი დასჭირდება ომის ვეტერანებისათვის ხვადასხვა დახმარების მიცემას. ბოლოს, საჭირო იქნება დაახლოებით 170 მილიარდი დოლარი, რათა დაფარონ ფედერალური მთავრობის ვალები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ვიეტნამის აგრესიასთან.

330 მილიარდი — ეს მხოლოდ „აბსოლუტურად მინიმალური თანხაა", რომელიც ემყარება დაახლოებით გამოანგარიშებას, აღნიშნავს კლეიტონი: მისი სიტყვით, „უფრო რეალისტური ციფრია" 400 მილიარდი დოლარი.

ᲡᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. (საკდესი). არგენტინაში ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელ დღეებში მოეწყო დაპატიმრებანი. საალყო წესების შემოღების შემდეგ ღამით მოწყობილი ჩხრეკის დროს დაპატიმრეს ბევრი პროფკავშირული და პოლიტიკური მოღვაწე, უნივერსიტეტთა მასწავლებლები და იურისტები.

საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ქალაქ ტუკუმანში.

მარდელ-პლატაში „ლუს ი ფუერსას" კომპანიის მუშაკთა პროფკავშირის წევრებმა 24 საათის საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს თავიანთი ხელმძღვანელების განთავისუფლების მოთხოვნის მხარდასაჭერად.

ქალაქ ლა-პლატაში სტუდენტებმა დაიკავეს იურიდიული ფაკულტეტის შენობა. სტუდენტები პროტესტს აცხადებენ ერთ-ერთი ცნობილი პროფესორის დაპატიმრების წინააღმდეგ.

ᲡᲚᲦᲝᲛᲐ ᲠᲝᲛᲨᲘ

რომი, 7 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის ლ. ლონგოს თავმჯდომარეობით შეიკრიბა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობა. სხდომის დღის წესრიგშია პოლიტიკური მდგომარეობა სახელმწიფოში სოციალისტური პარტიის გაეთიშვისა და მთავრობის გადადგომის შემდეგ.

ᲘᲡᲔᲕ ᲡᲠᲝᲚᲐ

ᲐᲗᲘᲜᲘ, 7 ივლისი (საკდესი) მორიგი სროლა ატყდა დღეს ლილის შვიდ სასაზღვრო ადგილობრივი დროით ოსრულისა და ძორდანიის ჯარებს შორის დამის ნიღის რაიონში. ამის, ოუწყება იორდანიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

სპპკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 7 ივლისს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილი შტოფი.

ენუკიძეს აეროდრომზე გერმანელ მეგობრებს გულთბილად შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ი. ვ. ანდროპოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულებულ იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

სტუმრები მიემართებიან ავტომობილებისაკენ. ავტომობილების კორტეჟი მოტოციკლისტთა სპეციალურ ესკორტის თანხლებით მიეშართება მოსკოვში დედაქალაქის ქუჩები, რომლებითაც ფილიალი რეზიდენციაში მიდის, მორთულია ორი მოძმე სოციალისტური ქვეყნის სახელმწიფო ალმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით. მოსკოველები გულითადად მიესალმებოდნენ მოძმე ქვეყნის წარმომადგენლებს. (საკდესი).

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

ერთსულოვანი მოწონება

საოლქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების აქტივის კრებებზე

ცხინვალი

საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ განიხილა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შედეგები. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კუპაკა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. თედეევმა, პარტიის ზნაურის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. თხელიძემ, კვაისის მაღაროთა-სამმართველოს დირექტორმა თ. ჯოიევმა, ლენინგორის რაიონული გაზეთის „ლენინელის“ რედაქტორმა ე. ხოცუაშვილმა, ცხინვალის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ბესაევმა, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მუშამ ლ. ჯოიევამ, საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჯუსოევმა.

აქტივის კრებამ განხილული საკითხის ირგვლივ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მხურვალედ იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს და მის პრაქტიკულ საქმიანობას, აგრეთვე სკკპ დელეგაციის მუშაობას მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე. კრებამ აგრეთვე რწმენა გამოთქვა, რომ სამხრეთ ოსეთის კომუნისტები დაუღალავად იბრძოლებენ ოლქის პარტიული ორგანიზაციის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. (საკ. კორ.).

გორი

გაიმართა გორის რაიონის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგები. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ჩოგოვაძე.

მოხსენების გამო გაიმართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ქარალეთის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა გ. რაზმაძემ, გაზეთ „გამარჯვების“ რედაქტორმა შ. მახარობლიძემ, ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ეცოდაშვილმა, ვარიანის საბჭოთა მეურნეობის № 1 ბრიგადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. თავლიაშვილმა, ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ი. აბაიძემ, რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ა. ჩხეიძემ, ბერბუკის საშუალო სკოლის დირექტორმა დ. გელაშვილმა, სკრის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ქერდიყოშვილმა, ახალუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ვარდანაშვილმა.

აქტივის კრებამ მხურვალედ მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის ივნისის პლენუმის დადგენილება და რაიონის მშრომელებს მოუწოდა კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მიღწევებისა. შეხვედრენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. (საკ. კორ.).

მარნეული

აპ გამართულ რაიონული პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე, რომელმაც განიხილა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის შედეგები, მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უნიშრობის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ინაური.

კამათში გამოიკვეთნენ: მექანიზებული საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ჰ. კარაევი, საქართველოს კომუნისტური რაიონული განყოფილების ბიუროს ინსტრუქტორი დ. ხვინოლუაშვილი, შაორმანის საშუალო სკოლის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ს. ახლანიანი, შულავრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ა. ქოჭაევი, გაზეთ „ახალი მარნეულის“ რედაქტორი პ. სახეჩიძე, ვ. წიქარიშვილი, სადახლოს მადნეულის სამმართველოს უფროსი გ. [illegible] ...ტორიაშვილი [illegible] ...ოების პირველი [illegible] ...ბა. მიქაძე პარტიის [illegible] ...ბა. [illegible] ...ფოვა განდიანი [illegible] ...ბა. [illegible] ...ფოვა [illegible] ...ბა. [illegible] ...ფოვა [illegible] ...ბა. [illegible] ...ფოვა

საერთაშორისო სხოვრება

ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა სიტყვა

პრაღა, 5 ივლისი. (საკდესი). ამ დღეებში ჩეხოსლოვაკიის ბუმრ ქალაქში იმართება პარტიული აქტივის კრებები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები, რომელთა მონაწილეები განიხილავენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებას რეალიზაციის ღონისძიებებს.

ჩრდილოეთ მორავიის ოლქის კომუნისტთა აქტივის დიდი კრება გაიმართა ოსტრავაში.

როგორც ჩეხოსლოვაკიის ფეპეგეთა საგენტო იტყობინება, კრებაზე მოხსენება თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობასა და პარტიის ამოცანებზე გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა. ჩვენს კომუნისტურ პარტიაში, თქვა მან, ჩვენს სახელმწიფოში საკმარისად გვყავს ჯანსაღი პოლიტიკური ძალები, ტკბილანი და პატიოსანი ადამიანები, რათა თავი დავაღწიოთ მდგომარეობას, რომელშიც ვიმყოფებით.

ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა, განაგრძო გ. ჰუსაკმა, განსაზღვრა კონცეფცია, დასახა კრიზისიდან გამოსავალი, განსაზღვრა მიმართულებანი, რომელთა დამხმარებით ჩვენს პარტიასა და ჩვენს საზოგადოებას შეუძლიათ გამოვიდნენ კრიზისული მდგომარეობიდან და პოზიტიურად, თანამიმდევრულად გადგა-რან დაგროვილი პრობლემები. მაგრამ, დასძინა ორატორმა, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ პოლიტიკური ბრძოლა ანტისოციალისტური და ტემპერჯვენე ძალების წინააღმდეგ. უნდა ვამსჯელოთ და პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოვაშოროთ ადამიანები, რომლებიც აქტიურად იღამჭრებენ პარტიის პლატფორმის წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის პლატფორმის წინააღმდეგ.

ბოლო უნდა მოვუღოთ ჭაოსს და დავადგეთ მკაფიო პოზიციას, რომელიც განსაზღვრა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმმა. ამ საკითხებზე პარტიის თვითეულმა წევრმა პატიოსნად უნდა გიარკვიოს თავისი თვალსაზრისი. ჩვენ ვიბრძოლებთ თვითეული პარტიის წევრისათვის, დავარწმუნებთ იმათ, ვინც ცდება, მოვიმხრობთ მათ. მაგრამ ვისაც არ სურს დადგეს ჩვენს ძირითად მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებს, საქმე არა აქვს რა ჩვენს პარტიაში და იძულებული გავხდებით მოვიშოროთ ასეთი ადამიანები.

ჩვენ ვართ და ვიქნებით მუშათა პარტია. ეს პარტია ასეთად დაარსდა, ასეთი პარტიისათვის იბრძოდა ათასობით ადამიანი, ასეთი იყო ეს პარტია, როცა გაიმარჯვა ჩვენს სახელმწიფოში. ამ გზით სურს მას მოაპოვებინოს ჩვენს ხალხს ახალი გამარჯვებანი. ვიცე ოდნავ მაინც იცნობს ჩვენი მუშათა მოძრაობის ისტორიას, კომუნისტური პარტიის ისტორიას, მან იცის, რომ ანტიფაშისტური ბრძოლის მრავალი ეტაპის შემდეგ და განთავისუფლების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ მოიპოვა ხალხის ნდობა და სამართლიანად გახდა ამ სახელმწიფოს მთავარი პოლიტიკური ძალა. ჩვენ არ ვაპირებთ დაკუბრუნდეთ 1948 წლის თებერვლამდელ პერიოდს, არავითარ შემხვევაში არ ვაპირებთ ვინმეს გადავცეთ პოლიტიკური ძალაუფლება, რომელიც მუშათა კლასმა და ყველა მშრომელმა მოიპოვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელობით. ამის იმედი ნურავის ნუ ექნება.

ჩვენ უარვყოფთ ანტისაბჭოურობას, განაცხადა გ. ჰუსაკმა, როგორც ბურჟუაზიულ პროპაგანდას, რომელიც ზიანს გვაყენებს, საფრთხეს უქმნის ჩვენს საკუთარ ძალებს, საკუთარ ინტერესებს. ორანსხვენი თვის განმავლობაში, აპრილისა და მაისის პლენუმების შემდეგ, ჩვენ ვხედავთ როგორ უჭერს მხარს გონიერ, სადად მოაზროვნე ადამიანთა უმრავლესობა კონსოლიდაციის პროცესის ხაზს ჩვენს ქვეყანაში, მხარს უჭერს ჩვენი პარტიის ცკ-ის პოზიციას. ყველა საოლქო და რაიონული კომიტეტის, საქალაქო კომიტეტების სხდომებმა, აქტივების კრებებმა აშკარად დაგვანახა, რომ კომუნისტთა დიდი უმრავლესობა ამ ხაზის მომხრეა, მხარს უჭერს მას. ჩვენ ვიცით, რომ უპარტიონიც, პატიოსანი მშრომელნი მხარს უჭერენ ამ პოლიტიკას.

ჩვენი ინტერნაციონალური მოძღვრების თვალსაზრისით, განაგრძო ორატორმა, მიგვაჩნია, რომ ამხანაგური ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, მომავ ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ყველაზე აზლობლუარია, ძმური. თუ ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ჩვენი ბედი დაკავშირებული უნდა იყოს სსრ კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან. ეს ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების ქვაკუთხედია.

შარშან და ამა წლის დამდეგს ზოგიერთმა ანტისოციალისტურმა და ოპორტუნისტულმა ძალებმა სცადეს შეეცვალათ პოლიტიკური ხელისუფლება. სხვადასხვა ყალბი აბრით მათ კვლავ სცადეს შეესწორებინათ 1948 წლის შედეგები. ეს პოლიტიკა ჩაიფუშა, ამ შინაპოლიტიკური ბრძოლის შედეგი გადაწყვეტილია, მუშათა კლასისა და მშრომელთა ძალაუფლება კვლავ მტკიცედ უჭერიათ მათ.

ჩვენი განარჯვება, განაცხადა გ. ჰუსაკმა, აშკარა დამარცხებაა იმპერიალისტური გეგმებისა, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის მიმართ სახავდნენ. ეს აშკარად დამარცხებაა იმათი, ვისაც სურდა ჩეხოსლოვაკია ჩამოშორებინა სოციალისტური ბანაკისაგან.

დასასრულ გ. ჰუსაკმა აღნიშნა, რომ დიდად აფასებს ჩრდილოეთ მორავიის ოლქის პარტიული ორგანიზაციის პოზიციას, რომელიც იმთავითვე ისტორიულ, რევოლუციურ როლს ასრულებდა ჩეხოსლოვაკიის მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში.

დასავლეთის სამხედრო ოლქის კომუნისტთა აქტივის კრებაზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ინდრა. მან ილაპარაკა იმაზე, რომ პოლიტიკური ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნისტული ძალების წინააღმდეგ პარტიაში უნდა წარმოვიგოთ დაუსწორმლად. საბოლოო გამარჯვებამდე. აქტივზე მიღებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ოლქის კომუნისტები იქნებიან ამათ პირველ რიგებში, ვინც იბრძვის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ქალაქ ლაბის უსტის აქტივის კრების მონაწილეებმა, სადაც გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ლენრიბი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ისა და საბჭოთა კავშირის პრაღის საელჩოს სახელზე გაგზავნეს წერილი, რომელშიც, კერძოდ ნათქვამია: გვსურს დაგარწმუნოთო, რომ მზადა ვართ მთელი ძალღონე მოვახმაროთ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, რომლებიც, ჩვენი აზრით, კონკრეტული გზაა ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობის კონსოლიდაციისა. დარწმუნებული ვართ, რომ ამას მივაღწევთ მსოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენს ქვეყანას მჭიდრო კავშირურთიერთობა, თანამშრომლობა და ბეჭნშარიტი მეგობრობა აქვს საოციალისტურ ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან.

მეგობრის მარეი დაიწყო

ტოკიო, 7 ივლისი. (საკდესი). ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის სრულიად იაპონიის საბჭოს ნაგასაკის განყოფილების ინიციატივით გუშინ დაიწყო ნაგასაკი-ხიროსიმის მშვიდობის მარში. მარშის 300 მონაწილე, რომელთა შორის არიან ატომური დაბომბვით დაზარალებული ნაგასაკის მცხოვრებნი — მეშენები, ახალგაზრდობა, ქალები, ერთი თვის განმავლობაში გაივლიან 500 კილომეტრს. ხიროსიმაში ისინი დაესწრებიან ცერემონიას, რომელიც 6 აგვისტოს გაიმართება ხიროსიმის ატომური დაბომბვის 24 წლისთავის გამო. მარშის მონაწილენი მიიღებენ ოგრეთვე მონაწილეობას ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის მე-15 საერთაშორისო კონფერენციაში.

მარშის დაწყების წინ ნაგასაკის მუნიციპალიტეტის შენობასთან გაიმართება იაპონელ მშვიდობის მომხრეთა მასობრივი მიტინგი.

ᲛᲐᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● თეირანი, 7 ივლისი. (საკდესი). თითქმის ყოველ კვირას მოპაქვს იმის ახალი დადასტურება, რომ ᲕᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲮᲒᲐᲜᲐᲖᲔ.

● ბონი, 7 ივლისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ბამოკითხულ მცხოვრებთა 73 კროცენტი, საზოგადოებრივი აზრის შესწავლელი ინსტიტუტის მონაცემებით, გაკოტრებული „კალმბაინის დოკტრინის“ წინააღმდეგია. და მხოლოდ 12 კროცენტი კვლავ მოითხოვს „ცივი ომის“ კოლიტიკის განმტკიცებას. ეს ცნობები დღეს მოაკაკს გაზეთ „ბილდ-ცაიტუნგს“.

ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ 25 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გაზეთმა „ეიცე ვარშავამ“ სახალხო პოლონეთის 25 წლისთავის იუბილეს წინ მკითხველებს მიმართა თხოვნით გამოეგზავნათ თავიანთი მოგონებები, დღიურები, ჩანაწერები, რომლებშიც მოთხრობილი იქნებოდა გახული მეოთხედი საუკუნის მანძილზე მათთვის ყველაზე ღირსსახსოვარი ამბებისა და მოვლენების შესახებ. პასუხმა არ დააყოვნა. კონვერტები სათანადო აღნიშვნებით რედაქციაში მოდის რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. ამ მასალების მიხედვით შეიძლება გონების თვალით იხილოთ სახალხო სახელმწიფოს განვითარების განვლილი გზა, სოციალისტური მშენებლობის წარმატებები, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურყევი მეგობრობის ეტაპები.

ქვემოთ ვბეჭდავთ „ეიცე ვარშავის“ რედაქციაში მოსულ ზოგიერთ წერილს, რომელთა პირიბიც პოლონეთის საგენტო ინტერპრესმა ახალი ამბების საგენტოს გადასცა. მათში მოთხრობილია სოციალიზმის გზაზე ახალგაზრდა რესპუბლიკის პირველი ნაბიჯების შესახებ.

„ᲩᲔᲛᲘ ᲑᲔᲓᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲐ“

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲔ

საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტთა ურდოებისაგან პოლონეთის მიწის განთავისუფლების ისტორიული დღეები მარად დარჩება ხალხის ხსოვნაში. „...წინადღით ჰიტლერელებმა სკოლის ეზოში შეგვყოლეს, ტყვიამფრქვევის ლულები მოგვიშვირეს და მთელი ღამე ზეზეულად გვგვატარებინეს, — იგონებს ექთანი კრისტინა კუბიკოფსკა ვარშავის სავოვეოდის ქალაქ ოტვოკიდან. — ვათენებას შიშითა და... იმედითაც ველოდით. ალიონზე ქუჩაში სროლა ატყდა. ვიფიქრეთ, ეს არის ჩვენი აღსასრული ფდგებაო. მაგრამ უცებ შევნიშნეთ, რომ ფაშისტებს დაავიწყდათ, შეიფარიაქნენ და მალე ვიგრძნობოდა თავისუფლება. ორ საათ ხნის შემდეგ გერუხენი მოვეკვეს. ქუჩაში გამოვალთ ჩიშკარი შემოიღება და წითელარმიელი ტანკი გამოჩნდა. სამეფამოდ დამამახსოვრდა მისი ნომერი: 4227. ჩვენ თავისუფალი ვიყავით. რამდენიმე დღის შემდეგ იმ სკოლაში, სადაც ველოდით სიკვდილს, რომლისკენაც საბჭოთა ტანკისტებმა გიიხსნეს, მე სამედიცინო პუნქტი მოვაწყე. აქ დაჭრილებისაგან დიდი გულისტკივილით შევიტყე, რომ ჩემი მხსნელი № 4227 ტანკის ეკიპაჟი გმირულად დაიღუპა ვარშავისათვის ბრძოლაში“.

საბჭოთა არმია ჰიტლერელ ოკუპანტებს პოლონეთის მიწიდან ერეკებოდა „ვარშავა, ლოძი, კრაკოვი... „ფაშისტებმა ოსვენციმის ტყეებში გერმანიაში დიდი ნაცარი აღრე წაასხეს, სანამ ფრონტი მოახლოვდებოდა, — წერს სიკვდილის ბანაკის ყოფილი ტყვე ხშირეული სტანისლავ რემბაკი. — მათი აზრით, ვერც ერთი ტყვე ვერ ეღირსებოდა თავისუფლებას. არ შეეხვნენ მხოლოდ ჩვენს ჯგუფს, ებრაელებს, რუსებს, უნგრელებს, ებრაელებს, — ეგონათ რომ ჩვენ ისედაც დაეხოცებოდით. და აი ერთხელ ფანჯრიდან ბარაკებს შორის მომავალი სამი საბჭოთა ჯარისკაცი დავინახეთ. ისინი ჩვენს ბარაკში შემოვიდნენ და ერთხანს მდუმარენ გვიყურებდნენ. ერთი საათის შემდეგ კი უკვე საბჭოთა ექიმები გვიადგნენ თავს. საღამოს ოსვენციმში ჩამოვიდა მსახიობთა საფრონტო ჯგუფი და კონცერტი გამართა. განა შეიძლება როდისმე დაივიწყო ეს კონცერტი, თავისუფლებას რომ ნიშნავდა!“

რედაქციამ მიიღო ბევრი ასეთი წერილი, რომლებშიც ლაპარაკია თავისუფლებით გამოწვეულ დიდ სიხარულზე, ახალ ცხოვრებაზე.

ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲔᲜ ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ლონდონი, 7 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ჯ. ნიკიტინი გვატყობინებს:

ინგლისის „კაპიტალს „კვლავ მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა აქვს სამხრეთ აფრიკასა და როდეზიის რასისტულ ხელისუფლებთან. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ მოძრაობის ორგანიზაციის მონაცემებით, ინგლისის 180-ზე მეტ დიდ კომპანიას თავიანთი ფილიალები და განყოფილებები აქვს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და როდეზიაში.

ამავე დროს, როგორც ინგლისის ოფიციალური პირნი აცხადებენ, ინგლისი სამხრეთ აფრიკის ოქროდესი სავაჭრო პარტნიორია და მისი ექსპორტი ამ ქვეყანაში წელიწადში ორას მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატება.

საკუთარი ცხადია, ამარაგებს რა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ყოველგვარი საქონლითა და მოწყობილობით, ინგლისი ფაქტიურად თვითონვე ეპათიღება ეკონომიურ სანქციებს სმიტის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, რადგან სამხრეთ აფრიკაში შეტანილი საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ როდეზიაში იგზავნება.

ამით ინგლისი შეგნებულად ეხმარება როდეზიის თეთრკანიანი უმცირესობის რასისტულ რეჟიმს. ამასთან დაკავშირებით, ჯასაგრძა, რატომ არის, რომ ინგლისის მთავრობა ერთა თანამეგობრობის მონაწილე აფრიკისა და აზიის ქვეყნების უმრავლესობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ დაფინანსებთ ამბობს ოთარ ბიმოიყენოს ძალა სოსუბერეული რასისტების წინააღმდეგ და იცავს უეფექტო ეკონომიურ სანქციებს.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲔᲜ ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ჯ. ნიკიტინი გვატყობინებს:

ინგლისის „კაპიტალს „კვლავ მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა აქვს სამხრეთ აფრიკასა და როდეზიის რასისტულ ხელისუფლებთან. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ მოძრაობის ორგანიზაციის მონაცემებით, ინგლისის 180-ზე მეტ დიდ კომპანიას თავიანთი ფილიალები და განყოფილებები აქვს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ამავე დროს, როგორც ინგლისის ოფიციალური პირნი აცხადებენ, ინგლისი სამხრეთ აფრიკის ოქროდესი სავაჭრო პარტნიორია და მისი ექსპორტი ამ ქვეყანაში წელიწადში ორას მილიონ გირვანქა სტერლინგს აღემატება.

საკუთარი ცხადია, ამარაგებს რა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ყოველგვარი საქონლითა და მოწყობილობით, ინგლისი ფაქტიურად თვითონვე ეპათიღება ეკონომიურ სანქციებს სმიტის რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, რადგან სამხრეთ აფრიკაში შეტანილი საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ როდეზიაში იგზავნება.

ამით ინგლისი შეგნებულად ეხმარება როდეზიის თეთრკანიანი უმცირესობის რასისტულ რეჟიმს. ამასთან დაკავშირებით, ჯასაგრძა, რატომ არის, რომ ინგლისის მთავრობა ერთა თანამეგობრობის მონაწილე აფრიკისა და აზიის ქვეყნების უმრავლესობის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ დაფინანსებთ ამბობს ოთარ ბიმოიყენოს ძალა სოსუბერეული რასისტების წინააღმდეგ და იცავს უეფექტო ეკონომიურ სანქციებს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲙᲔᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 5 ივლისი. (საკდესი). ოცნოეთის საგენტოები იუწყებიან, რომ დღეს კენიის დედაქალაქის ცენტრში მოკლეს კენიის ეკონომიური დაგეგმვისა და განვითარების მინისტრი ტომ მბოია. უინობმა რამდენჯერმე ესროლა კენიის მინისტრს, როცა იგი აეროპლანიდან გამოდიოდა ნაირობის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაში. თავდამსხმელი მიიმალა. პოლიცია ეძებს მას.

ᲒᲛᲝᲑᲔᲜ ᲛᲘᲚᲘᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ

ნიუ-იორკი, 7 ივლისი. (საკდესი). სენატორმა უილიამ პროქსმაირმა (დემოკრატი, ვისკონსინის შტატი) მოითხოვა, რომ პენტაგონის ბიუჯეტი შემცირდეს სულ ცოტა 10 მილიარდი დოლარით.

სენატორმა, რომელიც გუშინ ტელევიზიით გამოვიდა, გააკრიტიკა ნიქსონის მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ცდილობს გაზარდოს სამხედრო ხარჯები ამერიკელი ხალხის საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო ასიგნებათა შემცირებით.

სულ არ არის საჭირო, განაცხადა პროქსმაირმა, შეურავლებულ ძალებში ვინახავდეთ 3,5 მილიონ ადამიანს. არ გვჭირდება უამრავი სამხედრო ბაზა საზღვარგარეთ, რომლებიც გადასახადის გადამხდელს ყოველწლიურად უჯდება 5 მილიარდი დოლარი. და ბოლოს, როგორც ამას ადასტურებს ავტორიტეტიან მეცნიერთა და სპეციალისტთა აზრი, საჭირო არ არის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის „სეიფსარდის“ შექმნა, რომელიც ახალ მილიარდებს მოითხოვს. ამერიკის შეერთებულ შტატებში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის გეგმა, ხაზგასმით აღნიშნა სენატორმა, იმისი ერთ-ერთი ბოლო მაგალითია, თუ რა ვაკლენოს ახდენს ამერიკის პოლიტიკაზე „სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატები ჩაითრია ვიეტნამის ომის ჭაობში.

სამხედრო ხარჯები, ხაზგასუსვა პროქსმაირმა, უდიდესი სიმძიმით აწვება ამერიკის ეკონომიკას. ისინი იწვევენ ქვეყანაში ინფლაციას, გადასახადების ვანეწყვეტელ ზრდასა და ცხოვრების გაძვირებას, გადაუჭრელს ხდიან ისეთ მწვავე სოციალურ პრობლემებს, როგორიცაა ბინების ნაკლებობა, მილიონობით ამერიკელის შიმშილი და სიღატაკე.

ვაშინგტონი, 7 ივლისი. (საკდესი). დემოკრატმა სენატორმა იუჯინ მაკარტიმ, რომელიც პირველ ხანებში თავს იკავებდა და საჯაროდ არ აკრიტიკებდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მთავრობის საგიეტნამო პოლიტიკას, გუშინ რადიოთი გამოსვლის დროს განაცხადა, პრეზიდენტ ნიქსონს „საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა იმისათვის, რომ გადამწყვეტი ღონისძიებანი განეხორციელებინა ვიეტნამის ომის შესაწყვეტადო“.

მაკარტიმ გულგატეხილობა გამოთქვა ომის გამო, რომ მთავრობამ მხარი არ დაუჭირა სამხრეთ ვიეტნამში კოალიციური მთავრობის შექმნის იდეას და კვლავ მხარს უჭერს თხიეუს რეჟიმს. სენატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ რეჟიმის შეცვლა პარიზის მშვიდობიანი მოლაპარაკების წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

ᲡᲠᲝᲚᲐ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ

კაირო, 7 ივლისი (საკდესი). 19 საათის განმავლობაში დროგამოშვებით გრძელდებოდა გუშინ სროლა სუეცის არხის ზონაში მწარე ტბებისა და დასახლებული პუნქტის აშ-შატის რაიონში.

როგორც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, სროლას დროს ეგვიპტის ჯარებმა არტილერიისა და სხვა იარაღის გამოყენებით ჩაბაზეს ოკუპანტთა საცეცხლე საშუალებანი, ეგვიპტის შეიარაღებული ძალების, არტილერიამ, იუწყება სუეციდან გაზეთ „ალ-აჰრამის“ კორესპონდენტი, ჩაფუშა ისრაელთა ყოველგვარი ცდა მეტლის კლდეკარით გადმოეტანათ იარაღი და ტყვია-წამალი მოწინააღმდეგე პოზიციებზე.

ᲩᲐᲕᲤᲣᲤᲝᲗ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

ნიკოზია, 7 ივლისი. (საკდესი). ნატოს წრეებში კვიპროსელი ხალხისა და მისი მთავრობისაგან ფარულად იხილავენ ამერიკის იმპერიალიზმის გეგმებს. ეს გეგმები მიზნად ისახავენ საბერძნეთსა და თურქეთს გაუყონ კუნძული, რის გაკეთებასაც იმპერიალისტები ცდილობენ თავიანთი კონტროლით და ამრიგად კვიპროსი სურთ გადაკეცონ ნატოს ჩაუძირავ ავიამზიდად. ეს განაცხადა კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა, ე. პაპაიოანუმ, რომელიც, როგორც გაზეთი „ჰარავგი“ წერს, გამოვიდა მიტინგზე კვიპროსის სოფელ დალიში. კვიპროსელ ხალხს, ხაზგასმით აღნიშნა ე. პაპაიოანუმ, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჩაფუშოს იმპერიალიზმის ეს გეგმები. „გეკერა, რომ როცა ბოლო მოეღება იმპერიალიზმს ჩარევას კვიპროსის საშინაო საქმეებში, კვიპროსელი ხალხი თვითონ გამონახავს პრობლემის მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაწყვეტის გზას“.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-8 გვერდი, სამშაბათი, 8 ივლისი, 1969 წ.

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘᲗ ᲛᲮᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

მრთ-ერთი მხატვარი მონმარტრის მრავალ მხატვართაგან — მუშაობის დროს.

ფოტო Ვ. ᲕᲝᲘᲪᲔᲮᲝᲕᲡᲙᲘᲡ. (საკდესის ფოტოქრონიკა).

7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲔᲡᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲡ, რომ დღეს საბჭოთა კავშირში იწყება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეგობრული ვიზიტი.

„პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომი თანამშრომლობა შეესაბამება ორივე ხალხის ინტერესებს“ — ასეთი სათაურით პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“ პირველ გვერდზე ათავსებს კომენტარს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. სპიხალსკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ლ. სვობოდის შეხვედრის შესახებ.

ხაზღვარგარეთის ბევრი გაზეთი იუწყება, რომ ბალტიისპირეთში დაიწყო მშვიდობის კვირეული. აღნიშნავენ ამ მოვლენის დიდ მნიშვნელობას ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაში.

ხაზღვარგარეთის პრესა იუწყება, რომ სამხრეთ ვიეტნამში ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲐ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ. გაზეთები აღნიშნავენ განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მზარდ საბრძოლო აქტივობას „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ ამერიკის ჯარებს ვიეტნამელთა არტილერია ძლიერ ცეცხლს უშენს. დასავლეთის ზოგიერთი გაზეთი იუწყება, რომ შეერთებული შტატები აბორიგენებს ომის ეგრეთ წოდებული „ვიეტნამიზაციის“ გეგმას. კერძოდ, აქვეყნებენ ინფორმაციას, რომ შეერთებულმა შტატებმა საიგონის რეჟიმს გადასცა რამდენიმე ათეული საჰაერო გემი.

საზღვარგარეთის გაზეთები ადგილს უთმობენ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორი პოლიტიკური ვითარება შექმნა იტალიაში რუმორის მთავრობის გადადგომის შემდეგ.

ლონდონის „ტაიმსს“ მიაჩნია, რომ მთავრობის კოალიცია იტალიაში დაიშალა და საეჭვოა მისი აღდგენა. „დეილი ტელეგრაფი“ ამტკიცებს, რომ იტალიაში „იწყება ყველაზე ძლიერი პოლიტიკური კრაზისი ომის დამთავრების დროიდან“. ფრანგული „ეკო“ ფიქრობს, რომ კრაზისი იტალიაში შეიძლება ძალიან გაჭიანურდეს.

იაპონიის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს იაპონელ პარლამენტართა დელეგაციის გამგზავრებას შონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. „მაინიჩის“ მიაჩნია, რომ იაპონელი პარლამენტარების ჩასვლა მონღოლეთში შეიძლება გახდეს „მნიშვნელოვანი ნაბიჯი“ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში“.

მეექვსე საერთაშორისო

„კომუნისტის“ ინტერვიუ

გუშინ, 7 ივლისს მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა მეექვსე საერთაშორისო კინოფესტივალი. — **რას ეტყვით გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს ამ დიდ კინოფორუმზე?** — ამ კითხვით მიმართა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ზ. რახილაევმა ფესტივალის გენერალურ დირექტორს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ვლადიმერ ბასკაკოვს.

— მსოფლიოს პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას მოსკოვის მეექვსე საერთაშორისო ფესტივალის შესახებ,— თქვა ვ. ბასკაკოვმა, — მრავალი ეკეყნის კინომუშაკები გამოეხმაურნენ. ეს იმის გარანტიას იძლევა, რომ ფესტივალი, რომელიც ეწყობა დეკემბერი — „კინოხელოვნების კუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის“, წარმატებით ჩავლის. როგორც წინა ნელებში. საინტერესოდ იქნება წარმოდგენილი სოციალისტური ქვეყნების ხელოვნება.

კინოფესტივალი საბჭოთა კავშირთან ერთად მონაწილეობენ ინგლისი, ავსტრალია, ბელგია, ბულგარეთი, ბრაზილია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინდოეთი, იორდანია, ერაყი, იტალია, რუმინეთი, კამბოჯა, სირია, აშშ, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, იაპონია და სხვა ქვეყნები.

სასიხარულოა, რომ კინოფესტივალში მონაწილეობენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალგაზრდა კინემატოგრაფები.

წლევანდელი ფესტივალი ეწყობა ლენინის დაბადების 100 წლისთავის მოახლოებული თარიღის წინ. ტრადიციული კინორეტროსპექტივა, მიეძღვნება ფილმებს, რომლებიც ასახავენ ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ფესტივალის დღეებში მაყურებელი ნახავს ს. ეიზენშტეინის „ოქტომბერს“, გადაღებულს 1927 წელს.

რეტროსპექტივის პროგრამაშია აგრეთვე ფილმები „ლენინი ოქტომბერში“, „დედის გული“, „ლენინი პოლონეთში“, „ექვსი ივლისი“, „სამი სიმღერა ლენინზე“.

საკონკურსო ფილმებს ჟიურის წევრები და მაყურებელი ნახავენ სამ დარბაზში — ყრილობათა სასახლეში, კინოს ცენტრალურ სახლსა და პიონერთა სასახლეში.

როგორც ცნობილია, წელს რეგლამენტით გათვალისწინებულია სამი ოქროს მედალი საუკეთესო მხატვრული ფილმებისათვის.

ორასზე მეტი თარჯიმანი მოემსახურება სტუმრებს. ეს მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რთული უბანია. თარჯიმნებისთვის საგანგებო სემინარები მოვაწყეთ, რათა მათ ჯერ-თესად შეეთვისებინათ კინემატოგრაფის ტერმინოლოგია.

საკონკურსო ჟიურიში შევიდნენ მსოფლიოს კინოხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი. მათ შორის არიან მსახიობი ერვინ გეშონეკი (გდრ), რეჟისორები იონ პოპესკუ-გოპო (რუმინეთი), ეჟი კავალეროვიჩი (პოლონეთი), ივ ჩამპი (საფრანგეთი), ალბერტ საბო (უნგრეთი), გლაუბერ როშა (ბრაზილია), რომან კარმენი (საბჭოთა კავშირი), მსახიობი და პროდიუსერი ალბერტო სორდი (იტალია), მსახიობი ტერეზა დიფპი (სენეგალი), მწერალი ჯონ როდარი (იტალია), კინომცოდნე ზიგფრიდ მაგოლიი (გფრ), პროფესორი მიროსლავ ვრაბეცი (იუგოსლავია).

კინოკონკურსზე წარმოდგენილი იქნება სამი სახის ფილმები — სრულმეტრაჟიანი მხატვრული, მცირემეტრაჟიანი და საბავშვო ფილმები.

კინოფესტივალი 22 ივლისს დამთავრდება. მაგრამ ფილმები, რომლებიც აქ იქნება ნაჩვენები, ნახავენ სხვა ქალაქებშიც — ლენინგრადში, კიევში, თბილისში, როსტოვში, ნოვოსიბირსკში და სხვ. სასტუმრო „როსიას“ ფოიეებში 200-ზე მეტი ფოტოსტენდია, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა ქვეყნის კინემატოგრაფი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იჰყრობს მსოფლიოს კინოვარსკვლავთა შეკრება. აი ისინიც: სილვანა პამპანინი, მონიკა ვიტი, რაფ ვალონი, ლიუცინა ვინიციკა, ბეატა ტამჩევიჩი, ურსულა გლასი, ესლინდა ნონეფი, ლილიან გიში, მარინა ვლადი, ტუულა ნიუმანი.

ფესტივალის დღეებში პოლტავის ახლოს სურათის გადაღებას აწარმოებს. პოპულარული იტალიელი რეჟისორი ვიტორიო დე სიკა. იგი ფილმის მთავარი როლის შემსრულებელთან მარჩელო მასტროიანნისთან ერთად ფესტივალზე რამდენიმე დღით ჩამოვა.

სამასამდე უცხოელი ჟურნალისტი კვეწვია, და კვლავ ველოდებით. ისინი ფართოდ გააშუქებენ მსოფლიოს პრესის ფურცლებზე კინოფესტივალის მსვლელობას.

ჟიურის სპეციალური პრიზების გარდა მოსკოვის კინოფესტივალზე საუკეთესო ფილმებისათვის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთმა, ორგანიზაციებმა დააწესეს ჯილდოები. საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიტამ სამი სპეციალური პრიზი დააწესა. პრიზები დააწესეს ჟურნალებმა „ლაკუსტვო კინომ“ და „სოვეტსკი ეკრანმა“, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტმა, საბჭოთა ქალების კომიტეტმა, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა და სხვ.

მაშ ასე, ფესტივალი დაიწყო. ვნახოთ, რით გაგვახარებს იგი.

უმედეგო კონჭრიერიშები

გუშინ მინსკში საკავშირო პირველობის შესარჩევი მატჩების ბოლოწინა მე-17 ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და თბილისელი დინამოელები. მინსკელები თავდაცვაზე შეეცადნენ აქტიური მოქმედებით თავიანთ სასარგებლოდ წარემართათ ასპარეზობა. მათ, მართალია, მიაღწიეს კიდეც ერთგვარ უპირატესობას, 4-5 რეალური საფრთხეც შეუქმნეს სტუმრების კარს, მაგრამ ურუშაძის გაარღვევლმა, კარგმა თამაშმა თბილისელთა კარი უვნებელყო. პირველ ტაიმში თბილისელ თავდასხმელთაგან მხოლოდ გავაშელი გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, მე-4 წუთზე მან კარის ალების აშკარა შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან.

მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა. პირველი ოცი წუთი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა. მე-13 წუთზე ხურცილავას მიერ უძლიერესად დარტყმულ ბურთს მარცხენა დაბალ კუთხეში გაკერვებით მისწვდა გლუხოტკო. მე-15 წუთზე კი უკვე ძელმა იხსნა თბილისელთა კარი კაბერსკის ბურთისაგან, კიდევ ერთი წუთი და ვორონინის მიერ კარში გაგზავნილი უძნელესი ბურთი კუთხურზე გაგზავნა ურუშაძემ.

თამაშის ბოლოს ორივე გუნდი ფრთხილობდა, მაგრამ მაინც კონტრიერიშზე გადადიოდა, როგორც კი საამისოდ შესაძლებლობა მიეცემოდა.

ამრიგად, ფრე — 0:0. დულინორთა შეხვედრაში კი წარტყენა მასპინძლების ხვდათ — 2:0.

თბილისის „დინამო“ ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ურუშაძე, რეხვიაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ძოძუაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი (მაჩაიძე), მეტრეველი, გ. ნოდია (ლ. ნოდია), გავაშელი.

◆

საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვება

სკოპლეში (იუგოსლავია) დამთავრდა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა იუგოსლავიელ და საბჭოთა მოჭადრაკეებს შორის. უკანასკნელი ტურის ფრედ — 5:5 — დამთავრების მიუხედავად საბჭოთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ბ. სპასკი, მსოფლიოს ყვნ-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი და სხვა ცნობილი გროსმეისტერები, გაიმარჯვა საერთო ანგარიშით 22:18.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

△ **გაიმართა** ფეხბურთელთა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეოთხე ქვეჯგუფის გუნდების ასპარეზობის მორიგი ტური. დუშანბეში ტყიბულის „მეშახტე“ ანგარიშით 0:1 დამარცხდა ადგილობრივ „ენერგეტიკოსთან“, ხოლო ბათუმის „დინამომ“ ლენინაბაღში ფრედ — 1:1 — დაამთავრა შეხვედრა „ბამირთან“.

△ **სსრ** კავშირის ჩემპიონი კიევის დინამო ფინეთს ეწვია და ორი მატჩი გამართა ქალაქ კუოპიოსა და ტამპერეში. ორივე შეხვედრა უკრაინელი ფეხბურთელების დიდი უპირატესობით დამთავრდა. კუოპიოს „ილოს“ მათ მოუგეს ანგარიშით 8:3, ხოლო ტამპერეს ნაკრებს — 6:0.

△ მეხიკოს 1970 წლის ფეხბურთში მსოფლიო პირველობის ორკომიტეტმა უკვე შეარჩია 24 სტადიონი ფინალში მონაწილე 16 გუნდისათვის. 8 სტადიონი მეხიკოშია. დანარჩენი — გვადალახარში, ლეონში, ტულუკსა და პუებლოში.

△ **რვა** ეტაპის შემდეგ საბჭოთა ველოსიპედისტები ლიდერობას ინარჩუნებენ საერთაშორისო ველორბოლაში „იუგოსლავიის ტური“.

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ, ᲡᲐᲓ ᲒᲡᲣᲠᲡ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝ!



საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს 1969-70 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას წარმოებისაგან მოწყვეტით (დღის დასწრებულ) და წარმოებისაგან მოუწყვეტლივ (დაუსწრებელ) სწავლებაზე შემდეგ სპეციალობებზე:

I. დღის დასწრებული:

1. აგრონომიული, 2. აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა, 3. მცენარეთა დაცვა (ქართული და რუსული სექტორები), 4. აგრომელიორაცია, 5. მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა, 6. მეაბრეშუმეობა, 7. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, 8. საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში, 9. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, 10. სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, 11. მეღვინეობის ტექნოლოგია, 12. საკონსერვო წარმოების ტექნოლოგია, 13. სატყეო მეურნეობა (ქართული და რუსული სექტორები), 14. ჰიდრომელიორაცია.

II. დაუსწრებელი სწავლება:

1. აგრონომიული (ქართული და რუსული სექტორები), 2. მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობა, 3. აგრომელიორაცია, 4. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია, 5. საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში, 6. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორები), 7. სატყეო მეურნეობა (ქართული და რუსული სექტორები).

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

ა) აგრონომიულ, მცენარეთა დაცვის, აგროქიმიისა და ნიადაგმცოდნეობის, აგრომელიორაციის, მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის, მეაბრეშუმეობის სპეციალობებზე: ბიოლოგია (ზეპირი)*, ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

ბ) სოფ. მეურნ. ეკონომიკა და ორგანიზაცია და საბუღალტრო აღრიცხვა სოფლის მეურნეობის საწარმოებში სპეციალობებზე: მათემატიკა (ზეპირი)*, ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი).

გ) სატყეო-სამეურნეო, მეღვინეობის ტექნოლოგიისა და საკონსერვო წარმოების სპეციალობებზე: მათემატიკა (ზეპირი)*, ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

დ) სოფ. მეურნ. მექანიზაციის, სოფ. მეურნ. ელექტრიფიკაციის, ჰიდრომელიორაციის სპეციალობებზე: მათემატიკა (წერა და ზეპირი)*, ფიზიკა (წერა).

ინსტიტუტში ყველა შემსვლელი აბარებს წერითს გამოცდას ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ხოლო რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

ოქროს ან ვერცხლის medalonსნები და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი. რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას მხოლოდ ერთ მაპროფილებელ საგანში, რომელიც აღნიშნულია ვარსკვლავით.

აღნიშნულ საგანში უმაღლესი („ხუთი“) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგანში გამოცდებისაგან. ხოლო „ოთხი“ ან „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ გამოცდას ყველა სხვა შესაბამის საგანში.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

დასწრებულ სწავლებაზე უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ინსტიტუტში პირველ რიგში ჩარიცხებიან მუდმივად სოფლად მცხოვრები პირები, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი სასწავლებლად არჩეული სპეციალობით, პირველ ყოვლისა წარმოების მოწინავენი. რომლებიც იგზავნებიან სწავლისათვის თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის ოდგენილებისა და წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

დაუსწრებელ სწავლებაზე მიიღებიან ის პირები, რომლებიც მუშაობენ სწავლისათვის არჩეული სპეციალობით.

უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ჩარიცხვის უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ პირებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად იგზავნებიან სწავლისათვის იმ სპეციალობაზე, რაც შეესატყვისება შემომსვლელის მუშაობის ხასიათს, და რომლებიც წარმოადგენენ დაწესებული ფორმის მომართვას.

განცხადება მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე. განცხადებას დაერთვის: 1. საშუალო განათლების საბუთი (დედანი): 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შემოსასვლელად, რომელსაც ბძლევენ საწარმოდაწესებულების ხელმძღვანელები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ხოლო დასწრებულ სწავლებაზე შემსვლელ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების კურსდამთავრებულს — სკოლის ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებული — სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობა; 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან (სადაც ასეთი არ არის, შემცვლელი საბუთებიდან), დამოწმებული გამგეობის თავმჯდომარის მიერ, რომელიც აღინიშნება დაწესებული გამომუშავების მინიმუმი ყოველი კალენდარული წლისათვის. საბჭოთა მეურნეობის მუშები შრომის წიგნაკის ამონაწერთან ერთად ადგენენ ცნობას, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით; 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5. ოთხი ფოტოსურათი, გადაღებული უქუდოდ, ზომა 3×4 სმ.

ინსტიტუტში შემომსვლელნი პირადად წარმოადგენენ: პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე ყოველდღე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 16 საათამდე. **მისაღები გამოცდები** — 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმოენ კომისიაში — **თბილისი 31, დიღომი, სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.** ავტობუსი № 27 და 54.



საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1969-70 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებსა და ფაკულტეტებზე:

I. დასწრებული სწავლების განყოფილება

ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე (ქართული სექტორი) — სწავლული ზოოტექნიკოსის სპეციალობით.

ვეტერინარო ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორები) — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

II. დაუსწრებელი განყოფილება (ქართული და რუსული სექტორები)

ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე — სწავლული ზოოტექნიკოსის სპეციალობით.

ვეტერინარო ფაკულტეტზე — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება იმ პირთათვის, რომელთაც დამთავრებული აქვთ სპეციალური საშუალო სასწავლებელი, სავალდებულოა საწარმოო მუშაობის სამი წლის სტაჟი. აღნიშნული სტაჟი არ მოეთხოვება იმათ, ვინც მოხვდა საშუალო სპეციალური სასწავლებლის გამოშვების 5 პროცენტში ან საშუალო განათლება მიიღო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლებაზე მიიღებიან არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება და მუშაობენ პროფილის მიხედვით. იმავე განყოფილების სავეტერინარო ფაკულტეტზე მიიღებიან მხოლოდ ის პირები, რომელთაც აქვთ საშუალო ვეტერინარული განათლება და მუშაობენ სამკურნალო და სხვა საავეტერინარო დაწესებულებებში.

ინსტიტუტში შემომსვლელთათვის მოეწყობა მისაღები გამოცდები: ქართულ სექტორზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში, ფიზიკასა და ქიმიაში. რუსულ სექტორზე — რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ბიოლოგიაში, ფიზიკასა და ქიმიაში.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიღებულ წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში. ამ საგანში ფრიადი შეფასების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო კარგი ან დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღებისას აბარებენ სხვა საგნებსაც.

ინსტიტუტში უგამოცდოდ და კონკურსგარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ჩარიცხებიან წარმოებიდან მოვლინებულნი, ერთ-ერთ საგანში „ფრიადზე“, ის თავისუფლდება შემდგომი გამოცდისაგან, ხოლო თუ მიიღო „კარგი“ ან „დამაკმაყოფილებელი“, გამოცდას აბარებს ყველა საგანში საერთო წესით.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პროგრამების შესაბამისად. ინსტიტუტში ჩარიცხვა კი 1969-70 სასწავლო წლისათვის სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

განცხადება აბიტურიენტის მიერ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით. არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაკეთებული სამშობლო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი ადგენენ დახასიათებას სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობისაგან; 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონე პირთათვის), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი — გაცემულს სათანადო სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობის მიერ; 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. ამონაწერში აღნიშნული უნდა იყოს გამომუშავება და ამ კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლისათვის.

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (ან მიწერის მოწმობას) შემომსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება ა. წ. 30 ივლისამდე ჩათვლით ყოველდღე (გარდა კვირადღეებისა) 10-დან 14 საათამდე.

კონსულტაციები საგამოცდო საგნებში მოეწყობა 10-დან 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმოენ კომისიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 45.).

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1969-1970 სასწავლო წლისათვის შემდეგ განყოფილებებსა და ფაკულტეტებზე:

I. დასწრებული სწავლების განყოფილება

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორები) — სწავლული აგრონომის სპეციალობით, აგრომელიორაციის განყოფილებაზე — (ქართული სექტორი) — სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის სწავლული აგრონომ-მელიორატორის სპეციალობით, დეკორატიული მებაღეობის განყოფილებაზე (ქართული სექტორი) — სწავლული აგრონომ-დეკორატორის სპეციალობით.

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორები) — ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით.

3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორები) — ინჟინერ-მექანიზატორის სპეციალობით.

II. დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორები) — სწავლული აგრონომის სპეციალობით.

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე (ქართული სექტორი) — ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით.

3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე (ქართული სექტორი) — ინჟინერ-მექანიზატორის სპეციალობით.

ინსტიტუტში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ არჩეული სპეციალობის მიხედვით შემდეგ მაპროფილებელ საგნებში:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე: ქიმია (წერა), ფიზიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი).

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე: მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (წერა), ქიმია (წერა).

3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე: მათემატიკა (წერა), ზეპირი), ფიზიკა (წერა).

ყველა შემსვლელი აბარებს გამოცდას (როგორც არა მაპროფილებელ საგანში) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) ქართულ სექტორზე და რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) რუსულ სექტორზე.

ოქროს ან ვერცხლის medalonსნები ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი. რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი. აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში. სახელდობრ:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე — ბიოლოგიაში (ზეპირი).

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (ზეპირი).

3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე — მათემატიკაში (წერა, ზეპირი)

იმ შემთხვევაში. თუ medalonსანი ან წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტი გამოცდას ჩაბარებს მაპროფილებელ საგნებში „ფრიადზე“, ის თავისუფლდება შემდგომი გამოცდისაგან, ხოლო თუ მიიღო „კარგი“ ან „დამაკმაყოფილებელი“, გამოცდას აბარებს ყველა საგნებში საერთო წესით.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პროგრამების შესაბამისად, ინსტიტუტში ჩარიცხვა კი 1969-70 სასწავლო წლისათვის სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

განცხადება აბიტურიენტის მიერ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმის მიხედვით. არჩეული ფაკულტეტის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 2 დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, გაკეთებული სამშობლო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი — ერთ-ერთ ადგილიდან, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. წიგნაკში ნაჩვენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა. კოლმეურნეობისათვის ყოველი კალენდარული წლისათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმის აღნიშვნით. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან. უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნილმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ერთიანი ფორმის მომართვა სასწავლებელში მიღლინების შესახებ; 4. ავტობიოგრაფია (ხელნაწერი); 5. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 6. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომით 3×4 სმ); 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

შემომსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედროვალდებულნი) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირები).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. ყოველდღე (გარდა კვირისა) 10 საათიდან 17 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმოენ კომისიაში.

ინსტიტუტის მისამართი: სოხუმი — კელასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲠᲐᲓᲘᲝ

9 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.30 — რეპბუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 12.30 — ახალგაზრდობისათვის. საუბარი „ლენინური ჩაფლები“, 12.45 — მუსიკური საორკესტრო პიესები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ა. მაჭავარიანი. ფრაგმენტები ბალეტიდან „ტიტელო“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.30 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — საოპერო არიები კენ ნატის შესრულებით, 19.00 — ეკონომიური რეფორმის საკითხები. საუბარი „შედეგები და პერსპექტივები“, 19.45 — ლ. ლიადოვა. სიმღერები, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“. ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00— „ძილისპირული“, 21.10 — მუსორგსკი. ხაოროკესტრო სიუიტა „სურათები გამოფენიდან“, 22.00 — საუბარი „თანამედროვე სოფელი ქართულ სცენაზე, 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

8 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — „ოპერეტის ხელოვნება“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — რუმინული მხატვრული ფილმი „ცა მესამე სართულიდან იწყება“. 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — „ცეროდენას ეკრანი“, 19.00 — „იყო და არა იყო რა“, 19.15 — გადაცემა ციკლიდან „ქალაქის ესთეტიკური პრობლემები“. 20.00 — „ექსპო-70“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „თეატრალური საღამო“. 21.30 — კინონარკვევი. 21.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — პოლონეთის კოლტურის დღეები საბჭოთა კავშირში. „ეკრანის ოსტატები“ — კინორეჟისორი ანეკ ევალერეროვიჩი (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.



თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1969-70 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა (ქართულ და რუსულ სექტორზე).

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ქართულ სექტორზე: უცხო ენაში, ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრკ ისტორიაში (წერა).

რუსულ სექტორზე: უცხო ენაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრკ ისტორიაში (წერა).

განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე დაწესებული ფორმით და დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 2. ავტობიოგრაფია; 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 4. ოთხი ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4